ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/150823/1

ქ. თბილისი **15 აგვისტო 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთი მხრივ, სსიპ „შემოსავლების სამსახური“, ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ: 204525585; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **შპს „სითი არტ“**, მისი დირექტორის, გოგი აბუაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა, №101, კორპუსი №2, ბინა №9, ს/კ: 436255071, ტელ: +995 551 118 418, ელფოსტა: llccityart@gmail.com სს „საქართველოს ბანკი“, BAGAGE22, ა/ა: GE46BG0000000101008216

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით საბაჟო გამშვები პუნქტის - „ვალეს“ არსებული შენობისა და ტერიტორიის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV-71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) შესყიდვის მიზნით გამოაცხადა აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (№ **NAT230015172**) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა - შპს „სითი არტ“-მა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 78`401.00 (სამოცდათვრამეტი ათას ოთხას ერთი ლარი და 00 თეთრი) ლარად.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული მომსახურების კონტროლს (ინსპექტირებას).

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის - „ვალეს“ არსებული შენობისა და ტერიტორიის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV-71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) შესყიდვა, ხელშეკრულების დანართი №1-ის და ტექნიკური დავალების (დანართი №2) შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 (სამოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღეში. აღნიშნული ვადაში მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შემავალი ტექნიკური დავალების მე-11 პუნქტით განსაზღვრული ნაწილების ექსპერტიზა.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული პროექტი წარმოადგინოს 5 (ხუთი) ეგზემპლარად აკინძული და 1 (ერთი) ეგზემპლარი ელექტრონული ვერსია (CD დისკით) მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, სსიპ შემოსავლების სამსახურში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ სრულად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შემავალი წინამდებარე ხელშეკრულების ტექნიკური დავალების მე-11 პუნქტით განსაზღვრული ნაწილების ექსპერტიზა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის/ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი).

5.3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზა გავლილ პროექტს ჩაუტაროს ალტერნატიული ექსპერტიზა.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.5. მომსახურების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში.

5.6. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.7. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ სრულად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სრულად შესრულებულ მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის მიწოდება;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.6. შემსყიდველ ორგზანიზაციაში წარმოადგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესრულებული პროექტი (საქონელი).

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის დასრულების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრულ მოთხოვნებს ან მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად დანიშნული ალტერანტიული საექსპერტო კვლევის დროს აღმოჩნდება, რომ მის მიერ წარმოდგენილი სრული პროექტი შეუსაბამოა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-თან (ტექნიკური დავალება), აღნიშნული გარემოება ჩაითვლება არაჯეროვნად და მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების, ვადაგადაცილების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 7.1.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
სსიპ „შემოსავლების სამსახური“	შპს „სითი არტ“
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.08.15 18:51:42 +04'00'	
_____	_____
მიხეილ აბესაძე	**გოგი აბუაშვილი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
	Gogi Abuashvili Digitally signed by Gogi Abuashvili DN: cn=Gogi Abuashvili, serialNumber=PNOGE-31001020754, givenName=Gogi, sn=Abuashvili, o=Citizen, c=GE Date: 2023.08.15 18:46:01 +04'00'

დანართი №1 - ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები
1	სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის - „ვალეს“ არსებული შენობისა და ტერიტორიის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა **სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დავალების შესაბამისად.**	78 401	პრეტედენტმა ტექნიკური დავალების შედეგად წარმოსადგენი დოკუმენტები, შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 (სამოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღეში. აღნიშნულ ვადაში მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებულ საპროექტო დოკუმენტაციაში შემავალი ნაწილების ექსპერტიზა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის/ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა.

პრეტენდენტის დასახელება - შპს "სითი არტ"

ხელმოწერა _____

CITY ART
PROJECTING DESIGN CONSTRUCTION
შპს "სითი არტ" 436255071

Gogi Abuashvili

Digitally signed by Gogi Abuashvili
DN: cn=Gogi Abuashvili, serialNumber=PNOGE-31001020754, givenName=Gogi, sn=Abuashvili, o=Citizen, c=GE
Date: 2023.07.30 17:09:32 +04'00'

საბაჟო გამშვები პუნქტი “ვალე”

ტექნიკური დავალება

ძირითადი მონაცემების და მოთხოვნების ჩამონათვალი	აღწერა
დასახელება	საბაჟო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია;
მისამართი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ვალე, **ს/კ 61.23.21.132** საქართველო-თურქეთის საზღვარი
დამკვეთი	სსიპ „შემოსავლების სამსახური“
პროექტის სტადია	მუშა პროექტი
დანიშნულება და ობიექტის ძირითადი მონაცემები	საპროექტო ტერიტორის ფართობი შეადგენს დაახლოებით 5000კვ.მ.-ს; ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ობიექტის საერთო ფართია 1100კვ.მ; შენობის განაშენიანების ფართია 1300კვ.მ; პროექტის მიზანია საბაჟო გამშვებ პუნქტში ავტომობილების საერთო გამტარიანობის გაზრდა, შესაბამისად საჭიროა საავტომობილო გზის მოწყობა და დამხმარე სასარგებლო ფართის მომატება. რეკონსტრუქცია (მიშენება) მოიცავს საავტომობილო „გეითების“ (საკონტროლო ჯიხურების) დამატებას და შესაბამისად არსებილი გადახურული სივრცის მომატებას. განსახორციელებელი სამუშაოების შედეგად კორექტირებას დაექვემდებარება ტერიტორიის ღობე, გარე განათება, ასევე არსებული ბიოლოგიური გამწმენდი. საპროექტო დავალება მოიცავს შემდეგ პოზიციებს: 1. არსებული შენობების სარემონტო სამუშაოების პროექტი მათ შორის ფასადისა და გადახურვის რებილიტაცია; 2. მოსაწყობი სამანქანო გზისა და გამშვები პუნქტის ახალი შენობა ნაგებობების სრული პროექტი (გეითები) 3. ბიოლოგიური გამწმენდის პროექტი; 4. სატვირთო ავტომობილების პარკინგის პროექტი;
პირველადი მასალები	მოსაწყობი საკონტროლო ჯიხურის არქიტექტურული ნაწილი; არსებული შენობის გეგმები;
დოკუმენტაციის შემადგენლობა	1. განმარტებითი ბარათი; 2. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა;

	3. სამუშაოების ორგანიზების პროექტი; 4. საინჟინრო გეოდეზიური კვლევა (მათ შორის ვერტიკალური გეგმარება); 5. მიწის ვაკისის, მოსაწყობი გზის საფარის, სატვირთო ავტომობილების ღია პარკინგის, შენობის (გეითები: ჯიხურები და საკონტროლო ზონის გადახურვა), ბიოლოგიური გამწმენდის შენობისა და საკანალიზაციო ქსელის კონსტრუქციული ნაწილი; 6. სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურული ნაწილი (გეითები: ჯიხურები და საკონტროლო ზონის გადახურვა); 7. შენობაში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების დეფექტური აქტი (სამუშაოთა მოცულობებები, მასალათა უწყისები) 8. საინჟინრო ქსელები: ➢ ელექტრო-ტექნიკური ნაწილი (გეითები, ტერიტორიის გარე განათება); ➢ კანალიზაციის და წყალარინების სისტემა; ➢ სუსტი დენების ნაწილი (ინტერნეტის ქსელი) ➢ სახანძრო უსაფრთოების ნაწილი 9. აკრედიტებული სპეციალისტის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტალური კვლევის საუძველზე შესრულებული მდგრადობის საექსპერტო შეფასება; 10. სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; 11. შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ შესრულებული საპროექტო ექსპერტიზა შემდეგი ნაწილებისთვის: გეოლოგია; კონსტრუქცია; ხარჯთაღრიცხვა; პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობა.
დამკვეთზე გადასაცემი ეგზემპლარების რაოდენობა	საპროექტო დოკუმენტაცია დამზადდეს 5 (ხუთი) ბეჭდვით ეგზემპლარად და ელექტრონული სახით (1 CD დისკი)
მშენებლობის ნებართვის მოპოვება	პროექტანტი აწარმოებს მშენებლობისათის საჭირო ყველა სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვების ღონისძიებებს;

შენიშვნა: საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელ ვადად განისაზღვროს 75 კალ. დღე

Gogi Abuashvili

Digitally signed by Gogi Abuashvili
DN: cn=Gogi Abuashvili, serialNumber=PNOGE-31001020754, givenName=Gogi, sn=Abuashvili, o=Citizen, c=GE
Date: 2023.08.04 18:58:11 +04'00'

გენგეგმა 1:1000



სიტუაციური გეგმა



ჯიხური სატვირთოს

გეგმა





ჭრილი 1-1



ჭრილი 2-2



შენიშვნა:

1. ყველა გამოყენებული მასალა შეთანხმდეს დამკვეთთან
2. ლითონის ელემენტები შეიღებოს მაღალი ხარისხის აპრილის საღებავით
3. ალუმინის ვიტრაჟები დამზადდეს შავი ალუმინის პროფილით
4. ალუმინის კომპოზიტური პანელი სისქით 4მმ; ალუმინის ფენის სისქე 0.5მმ
5. ვინილის ლამინატი; კლასი_ 33/42; სახანძრო უსაფრთხოების კლასი_ KM2
6. პოლეეთილენის სენდვიჩ პანელი ლითონის სისქით 0.5მმ

ფასადი 1-2



ფასადი A–B



ფასადი 2-1



ფასადი B–A